პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 26 სექტემბერი № 221 (17566) ფასი 2 კაპ.

რთველი — 79

ჯერ თქვენზეა, მეევენახეებო!

▲ ყურძნის კრეფის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს შარშანდელს ▲ გურჯაანის რაიონში დღეში 3 ათას ტონაზე მეტი ყურძენი იკრიფება ▲ ყურძნის გადამუშავების ახალი სიმძლავრეები ამოქმედდა თელავის, გურჯაანის, თერჯოლის და სხვა რაიონებში.

თვეც არ გასულა, რაც რთველი დაიწყო. უკვე შეჯიბრების ლიდერებიც გამოვლინდნენ. როგორ მიმდინარეობს ყურძნის კრეფა რესპუბლიკის მთავარი ზვირის — კახეთის მეურნეობებში? საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვას უპასუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობის მთავარი სამმართველოს მთავარი აგრონომი ს. დევდარიანი:

— რთველი დღითი დღე ჩადგება. და სასიხარულოა, რომ კრეფის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს შარშანდელს. რესპუბლიკაში დიდი მოსამზადებელი მუშაობა შესრულდა. ყოველ რაიონში შეიქმნა შეჯიბრების ხელმძღვანელობის ოპერატიული შტაბები. მოსავლის ხარისხის კონტროლის ჯგუფები. ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფილია გოდრებითა და ავტოტრანსპორტით. მარტო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და „საქსახსოფლტექნიკამ“ დამატებით გამოგვიყვეს 1.000-ზე მეტი ავტომობილი, საწევარი და მისაბმელი. ახლა მარტო გურჯაანის რაიონში მოსავლს ეზიდება 600-ზე მეტი სატვირთო მანქანა. დიდად ვიზრუნეთ იმათთვის, ვინც სათავეში უდგას მევენახეთა შეჯიბრებას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით გეგმის გადაჭარბებით მოკრეფილი ყოველი 100 კილოგრამი ყურძნისათვის მკრეფავს ეუზდით ფულად პრემიას, გამარჯვებულებს ვაჯილდოებთ სპატიო სიგელებით, ვაძლევთ საგზურებს, გადავიცემთ ფასიან საჩუქრებს.

მოსავლის მისაღებად მზად არიან გადასამუშავებელი საწარმოებიც. მაგალითად, ყურძნის პირველადი გადამუშავებისთვის ახალი სიმძლავრეებ[illegible] ამოქმედდა თელავის, გურჯაანის, თერჯოლის, [illegible] ... ახლა ერთიანად დარჩენია — ყურძნის კრეფისას არ დაკარგონ არც ერთი სამუშაო წუთი, ზვრებში მოუკრეფავი არ დატოვონ არც ერთი მარცვალი. ამისათვის კი ძალზე მნიშვნელოვანია შრომის დისციპლინის მკაცრად დაცვა. მანქანებისა და მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენება. სწორად იქცევიან გურჯაანის რაიონის მეურნეობებში, სადაც შეიქმნა ყურძნის შემოსვლისადმი მეთვალყურეობის სამსახური. ეს საშუალებას გვაძლევს სწორად გავანაწილოთ ტექნიკა, დროულად მოვკრიფოთ მოსავალი, დაუყოვნებლივ მივაწოდოთ იგი ღვინის ქარხნებს. რაიონში ყოველდღიურად იზრდება ყურძნის შაქრიანობა. თუ ორი დღის წინ იგი 19,7 პროცენტს შეადგენდა, 25 სექტემბრისათვის 19,9 პროცენტი იყო.

ყოველდღიურად კახეთის რაიონებში 9.900 ტონა ყურძნის კრეფენ. ამ რაოდენობის ერთი მეოთხედი გურჯაანის რაიონის წილად მოდის. კახეთის მევენახეებმა მიმღებ პუნქტებს უკვე ჩაბარეს 204.134 ტონა ყურძენი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 370.400 ტონა. მთლიანად რესპუბლიკაში კი მარანს ჩაბარდა 230.362 ტონა ყურძენი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 575 ათასი ტონა, შარშან ამავე დროისათვის რესპუბლიკაში დამზადებული იყო 93.338 ტონა ყურძენი.

თუ მოვინდომებთ, საქმეც წინ წავა

ბევრი რესპუბლიკის ქალაქების, სოფლების, დასახლებული პუნქტების ქუჩებში და მოედნებზე, ცენტრალურ მაგისტრალებზე და ეზო-გარემოში ხშირად შეეხვდებიო წითელსამკლაურიან სახალხო რაზმელებს — ახალგაზრდა გოგონებსა და ჭაბუკებს, რომლებიც მილიციის მუშაკებთან ერთად მორიგეობენ, იცავენ წესრიგს, თვალყურს ადევნებენ ტრანსპორტის, ადამიანების მოძრაობას, არიგებენ და კიცხავენ დამრღვევებს...

წესრიგის, დისციპლინის განსამტკიცებლად, დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა აღსაკვეთად ეს უაღრესად სახარგებლო მუშაობა იმ დიდი ორგანიზატორული, პოლიტიკური და პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთ-ერთი რგოლია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან იმისათვის, რომ ყველგან და ყველაფერში დამყარდეს სანიმუშო კომუნისტური წესრიგი და მტკიცე პარტიული, სახელმწიფო დისციპლინა, აღმოიფხვრას დანაშაულობანი, გადაცდომები, სამართალდარღვევათა შემთხვევები. ამ მნიშვნელოვან ორგანიზატორულ, აღმზრდელობითს და პროფილაქტიკურ მუშაობას ადგილებზე წარმართავენ და ხელმძღვანელობენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოები. მასში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები, კომკავშირელები, აქტივისტები. ასეთი მუშაობა უაღრესად სასიკეთო გავლენას ახდენს სანიმუშო კომუნისტური წესრიგისა და წესიერების დამკვიდრებაზე, სამართალდარღვევათა, დანაშაულობათა აღკვეთაზე, ჩვენი ხალხისათვის შრომის, ცხოვრების პირობების, მყუდრო გარემოს შექმნაზე.

სწორედ ამ დიდი მუშაობის შედეგია, რომ წელს შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დანაშაულობათა წინააღმდეგ, სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა. იგი უფრო სისტემატური, თანმიმდევრული გახდა. ყოველივე ამის გამო, რომ საგრძნობლად შემცირდა სამართალდარღვევათა, კანონსაწინააღმდეგო მოქმედების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ დარღვევათა და დანაშაულობათა აღკვეთისათვის სერიოზული, უფრო აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა თბილისში, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. აგრეთვე მარნეულის, ლაგოდეხის და სხვა რაიონებსა და ქალაქებში. მარტო თბილისში ყოველდღიურად ასობით მილიციის მუშაკი და სახალხო რაზმელი მონაწილეობს ქუჩებსა და მოედნებზე მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში, დარღვევათა აღკვეთაში, მათი აქტიურობითა და ერთობლივი მუშაობით მრავალი დანაშაული, გადაცდომა, წვრილმანი დარღვევა გამოვლინდა და აღიკვეთა.

მაგრამ, მიიწურა თუ არა ზაფხული, შემოდგომის პირველი თვე — სექტემბერი ამ მხრივ არცთუ ისე სასიამოვნო მოვლენებით აღიწერნა. სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ სექტემბერში მოიმატა დანაშაულობათა და დარღვევათა რაოდენობამ. მაგალითად, სექტემბრის ორ დეკადაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში, დანაშაულობათა მატების მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ქალაქ ქუთაისში, აგრეთვე თბილისს ლენინის, ორჯონიკიძის, პირველი მაისის რაიონებში, ბათუმში, გაგრაში, ქობულეთში, ლანჩხუთში. გახშირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი — ბინების ძარცვა, პირადი ქონების ქურდობა, ბაჯრა, ხულიგნობა და ა. შ. სამწუხაროა, რომ ბევრგან ნელი ტემპით მიმდინარეობს დანაშაულობათა გახსნა. ეს განსაკუთრებით ქუთაისის მაგალითზე იგრძნობა. როგორც ჩანს, ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველომ, რაიონულმა განყოფილებებმა შეასუსტეს მუშაობა, მთელი მონდომებით, ენერგიით, შემართებით ვერ ებრძვიან დანაშაულობებს, ვერ რაზმავენ საზოგადოებრიობას, სახალხო რაზმელებს, აქტივს წესრიგისა და წესიერების დასამყარებლად. ამიტომ არის, რომ ქალაქში დღითაც და ღამითაც ხშირია აყალმაყალი, ჩხუბი, ხულიგნობა, და, რაც მთავარია, სისხლის სამართლის დანაშაულობანი. ასეთი უდისციპლინობა და დარღვევებია აგრეთვე რუსთავში, მახარაძის, ხაშურის რაიონებში, ტყიბულის ზონაში.

მართლწესრიგის დასაცავად, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამართლის ნორმების დამრღვევები და დანაშაულეები ძირითადად ისინი არიან, ვინც თავს არიდებს, გაურბის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, არსად არ მუშაობს და დღენიადაგ ქუჩაში ხეტიალს უნდებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ უსაქმურთა და დამნაშავეთა დიდი ნაწილი ცხოვრობს და მოქმედებს ქალაქ თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, პირველი მაისის, 26 კომისრის რაიონებში, აგრეთვე ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გაგრაში, ზუგდიდში, დუშეთში, გუდაუთაში, ბულრიფშში, ქობულეთში და სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

სწორედ ახლა, ამთავითვეა საჭირო ქმედითი ღონისძიებანი, რათა სექტემბრის დარჩენილ დღეებში და შემდეგ თვეებში არ დაფუშვათ დანაშაულობათა ზრდა. პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მკვეთრად უნდა გარდაქმნან მუშაობა, რათა გაძლიერდეს ბრძოლა და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება უსაქმურთა და საერთოდ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავის ამრიდებელთა წინააღმდეგ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შრომის ფერხულში ჩავაბათ ისინი, ამისათვის, ფართოდ უნდა დავრაზმოთ ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, ფართო საზოგადოებრიობა, რაზმელები, აქტივი. ახლა მილიციის მუშაკთა, განსაკუთრებით, უბნის რწმუნებულთა მზრუნველობა და გულითადობა უნდა იგრძნობოდეს ყველა უბანსა და რგოლში, ქალაქსა და ქუჩაში, სოფელსა და დაბაში.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, დანაშაულებრივი და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებისათვის, დამნაშავეობის აღმოფხვრისა და მისი წარმომშობი მიზეზების აღკვეთისათვის მოქმედების ნამდვილი პროგრამაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა. ეს დოკუმენტი უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სისტემატურად განიხილონ მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის საკითხები. განსაკუთრებული მუშაობა მართებთ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, რომლებმაც სამართალდარღვევათა აღკვეთის საქმეში ფართოდ უნდა ჩაბაან აღმასკომების კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, მშრომელთა მასები. ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, განვამტკიცოთ მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახური, სრულყოთ სისხლის სამართლის სამძებროს და საგამოძიებო ორგანოების მუშაობა.

ერთი სიტყვით, როცა მოვინდომეთ, მთელი შემართებით, მგზნებარებით ვიმუშავეთ, საქმესაც კარგი პირი უჭირდა, ხოლო როცა შეგასუსტეთ მომთხოვნელობა, ორგანიზატორული, პოლიტიკური, პროფილაქტიკური მუშაობა, ნაკლმაც და ხარვეზმაც თავი იჩინა.

ყოველივე ეს გვავალებს უფრო მეტად ავამოქმედოთ, გავაძლიეროთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, მთელი მონდომება, მთელი უნარი მოვახმაროთ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, დანაშაულობისა და დარღვევების სრული აღმოფხვრისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს.

ეს ჩვენი პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, ყველა კომუნისტის, კომკავშირელის, აქტივისტის, თითოეული მშრომელის სადღეისო საბრძოლო ამოცანაა.

სუთფლედი

შეჯიბრება

● ენგურჰესის მშენებლობაზე. იზრდება უნიკალური კაშხალი ● ხარისხსინანიშნიანი პროდუქცია.

საქმეს გამოაჩინა

ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებელთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. წინასწარი გაანგარიშებით მე-8 უბნის კოლექტივი მალე შეასრულებს წლიურ დავალებასა და ნაკისრ ვალდებულებებს.

ეს სურათი გადაღებულია კაშხალის მშენებლობის დღისათვის ყველაზე მაღალ წერტილზე. აქ ხედავთ მესამე უბნის მთავარ ინჟინერს რევაზ ფიფიას (ცენტრში), გამბოლი ბრიგადის ხელმძღვანელს ლუტერ აგაიას, მემონტაჟე ჯემალ მაქაშვილს, დურგალ ვლასი რობაქიძეს და დურგალ-მემონტაჟეს, სოციალისტური შრომის გმირს ოთარ ბლიაძეს (მარცხნიდან მარჯვნივ) დილის თათბირზე.

ი. ბოხონელიძის ფოტო.

ქუთაისის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივის მიერ დამზადებული ათი სახეობის აბრეშუმის ქსოვილს მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. მარტო წელს ქუთაისელები გამოუშვებენ ცამეტ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საპატიო ხუთკუთხედიან პროდუქციას.

საწარმოში დიდი ყურადღება ეთმობა ტექნიკურ განახლებას. ახლახან № 3 საამქროში დაამონტაჟეს ჩეხოსლოვაკიური ახალი საფეიქრო დაზგები, რომლებმაც აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

სურათზე: გაერთიანების მოწინავე ფეიქარი ნესტან ხვიბლიანი. იგი ახლა 1980 წლის ანგარიშში მუშაობს.

გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონსტიტუციის მეორე წლისთავს—დამკვრელური შრომა!

გ. დვალის კალენდარი

„1981 წლის 1 იანვარი“ — ასეთი წარწერა გაჩნდა ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხნის მვალცავის გ. დვალის სამუშაო კალენდარზე. ხუთწლედის დამდეგიდან მან 218 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ეს 25 ათასით აღემატება პირად ხუთწლიან გეგმას. გ. დვალმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის დამლევამდე დარჩენილ დროში 80 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადოს.

ქარხნის მრავალი მშრომელი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი დავალების ვადამდე — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შესასრულებლად. კომუნისტური შრომის დამკვრელები ა. ჯინჭველაძე, ე. ქუთათელაძე, გ. ბოხოხიძე, ა. ბურჯანაძე, ვ. ბობოხიძე, ვ. პარკაძე აგრეთვე 1981 წლის ანგარიშში შრომობენ. ისინი მთელ პროდუქციას პირველი წარდგენისთანავე ამბარებენ.

დაწინაურდნენ ქვანახშირის ეშელონები

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების წყალობით ხუთწლედის მეოთხე, მიმდინარე წელს მნიშვნელოვან შრომითს წარმატებას აღწევს დედაქალაქის მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი.

მეფეხსაცმლეებმა იანვარ-აგვისტოში მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალებას 81 ათასი მანეთით გადაჭარბეს და გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა და განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგვენებლებს მიაღწია ნაოლენი საგამომკვეთო-საგამომშვრელო საამქროს კოლექტივმა. რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი ზ. ვარდანაშვილი ხელმძღვანელობს. ასევე კარგი შედეგები აქვთ მოწინავე მუშებს ვ. დოლიძეს, ი. ხაჩატურიანს და მ. ბარსეგიანს, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ელექტროშტაბელერის ახალი მოდელი

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივს პირველი წარმატება მოუტანა დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა შრომითმა ვახტმა. კოლექტივმა ვადაზე სამი თვით ადრე გამოუშვა ეშ-188 მოდელის ელექტროშტაბელერების საცდელი პარტია. წინა მოდელთან შედარებით ახალი ნიმუშის ელექტროშტაბელერზე მნიშვნელოვნად არის გამარტივებული ჰიდროგაყვანილობის სისტემა.

ახალი მანქანის გამომვების სამუშაოებზე თავი გამოიჩინეს ტექნოლოგებმა გ. ხარაძემ და გ. მელქონიანმა, კონსტრუქტორმა ი. ივანოვმა და სხვებმა.

ბოსტნეული — ვალდებულების გადამეტებით

მარნეული. („კომუნისტი“ კორ.) მებოსტნეებმა ტრადიციას არც წლეულს უღალატეს. ბოსტნეულის აღება ჯერ არ დაუმთავრებიათ, მაგრამ ნაკისრი ვალდებულება უკვე შეასრულეს, სახელმწიფოს 52.100 ტონა ბოსტნეული მიჰყიდეს, რაც გეგმას 2.400 ტონით, ხოლო ვალდებულებას 2.100 ტონით ჭარბობს.

ბოსტნეულის დამზადებაში თავი ისახელეს სადახლოს მეთამბაქოეობის და წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით შესაბამისად 500-600 ტონით მეტი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

სეზონის ბოლომდე მარნეულელები თბილისს, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ქალაქების მშრომელებს დამატებით კიდევ 3.400 ტონა ბოსტნეულს გუგეგავნიან.

ყურძენი — მარნებში!

„სამტრესტის“ ცნობით, 25 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1979 წლის გეგმა	24 სექტემბერს მოკრეფილი	სულ მოკრეფილია
გურჯაანის	109.800	3107	66033
თელავის	67000	3258	29883
ყვარლის	52500	1834	26646
სიღნაღის	40000	1221	37575
ახმეტის	36500	1695	8648
წითელწყაროს	30300	344	20662
საგარეჯოს	24000	1047	7792
ლაგოდეხის	10800	741	6895
სულ კახეთის რაიონებში	370400	13247	204134

ეწვივნენ საელჩოს

25 სექტემბერს ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, კ. ვ. რუსაკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ს. ბარკაუსკასი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ამხანაგ ლუდვიკ სვობოდას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

მათ წუთიერი დუმილით სცემეს პატივი ჩეხოსლოვაკიის მამულიშვილსა და საბჭოეთის დიდ მეგობარს, ხელი მოაწერეს სამძიმრის სამგლოვიარო წიგნში.

ვიზიტი დამთავრდა

მექსიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი დივიზიის გენერალი ფ. გ. ლოპესი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში, 25 სექტემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა.

აეროდრომზე მის გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები.

გამცილებელთა შორის იყო მექსიკის ელჩი სსრ კავშირში როხელიო მარტინეს აგილარი. (საკდსი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიაში

უფრო გავაძლიეროთ შრომითი მეცოქეობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გ. კოლბინის თავმჯდომარეობით გაიმართა ამ კომისიის სხდომა.

კომისიამ მოისმინა და განიხილა ინფორმაციები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილის გ. კოსოსკისა — ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პრაქტიკის შესახებ; რესპუბლიკის ადგილობრივი, ხორცისა და რძის მრეწველობის, სამინეო-კომუნალური მეურნეობის მინისტრების მ. მაღრაძის, ა. მოვსესიანის და ნ. ვაშაძისა — დარგებში მაჩვენებლების მთელი კომპლექსის მისაღწევად ორგანიზატორული მუშაობის შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივნის ზ. დვალისა — საკვების დამზადებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის აგვისტოს შედეგების შესახებ.

რესპუბლიკური კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. შარტავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ნ. სანთელაძე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი რ. ბასაია, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის წარჩინებული მშენებელი ტ. ქართველიშვილი, აგრეთვე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. კონცელიძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ჭალაგანიძე, საქართველოს კომპარტიის ქარაფლის რაიკომის პირველი მდივანი ო. კილასონია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ე. ბორობეიჩიკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვეფხვაძე, მინისტრების მოადგილეები და პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტის მდივნები.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. კოლბინმა.

აღინიშნა, რომ 1973 წლიდან მოყოლებული რესპუბლიკაში შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის მაჩვენებელთა მთელი კომპლექსის მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების, საკვების წარმოებისათვის შეჯიბრების გარკვეული სისტემა.

ამ სახეობათა შეჯიბრებაში შრომითი მეტოქეობის შედეგებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომიტეტი აჯამებს ყოველკვარტალურად, ხოლო საკვების დამზადებისათვის შეჯიბრებაში — ყოველთვიურად. შეჯიბრების შედეგები ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში, შუქდება ტელევიზიითა და რადიოთი. დადებითი გამოცდილებაა დაგროვილი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, რომელიც გაჩაღებულია ქალაქებს — ქუთაისსა და რუსთავს, ზუგდიდსა და ფოთს, ტყიბულსა და ჭიათურას, სამტრედიისა და ხაშურის, ცხაკაიასა და გუდაუთის, ზუგდიდისა და მახარაძის, თელავისა და ზესტაფონის რაიონებს შორის, კვების მრეწველობის სამინისტროსა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ავტოტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს შორის.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროები, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიები, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიები ყოველკვარტალურად აჯამებენ შეჯიბრების შედეგებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. საქალაქო და რაიონული გაზეთები რეგულარულად ბეჭდავენ მიზნობრივ გვერდებს, რომლებიც ეძღვნება შეჯიბრებაში ჩაბმულთა შრომითს მეტოქეობას.

აღინიშნა ის დადებითი, რაც უკანასკნელ ხანს შეიძინა რესპუბლიკამ რეგიონებს, ქალაქებს, რაიონებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის შეჯიბრების შედეგების შეჯამებაში. ამავე დროს სხდომაზე თქვა, რომ არის ნაკლოვანებანი შრომითი მეტოქეობის ამ დიდმნიშვნელოვან ეტაპზე. იშვიათად მიმდინარეობს ვალდებულებათა შესრულების ურთიერთშემოწმება, შეჯიბრების მონაწილენი ერთმანეთს არ უცვლიან დელეგაციებს, შედეგების შეჯამების დროს არ ითვალისწინებენ მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს, მის ეფექტიანობას. ხშირად ცალკეული ქალაქები და რაიონები, სამინისტროები, უწყებები შეჯიბრებაში მონაწილე თავიანთი პარტნიორების მაჩვენებლების შესახებ მხოლოდ რესპუბლიკურ პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შეიტყობენ ხოლმე.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებასა და საქართველოს პროფსაბჭოს შესთავაზა შეიმუშაონ ზიანადადებანი, რათა შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს აუცილებლად იყოს გათვალისწინებული ისეთი ძირითადი მოთხოვნები, როგორიც არის თვით შეჯიბრებაში ჩაბმულთა ფართო მონაწილეობა გეგმა-ვალდებულებების, პირობებისა და ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებაში, შედეგების შეფასებასა და გამარჯვებულთა განსაზღვრაში.

სხდომაზე ითქვა, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობისა და სამინეო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებში და ადგილობრივ აღმასკომებში ეფექტიანად ფუნქციონირებენ ადგილობრივ ინიციატივა-ინოვაციათა ბანკები, ეფექტიანად ფუნქციონირებენ ინოვაციურ-ტექნიკური ბიუროები, ინოვაციურ-ტექნიკური ბიბლიოთეკები, ინოვაციურ-ტექნიკური ბანაკ-სალაბორატორიები, ინოვაციურ-ტექნიკური ბანაკ-ბიბლიოთეკები, ინოვაციურ-ტექნიკური ბანაკ-ბიბლიოთეკა-ბიუროები, ინოვაციურ-ტექნიკური ბანაკ-ბიბლიოთეკა-ბიუროები-ბანკები, ინოვაციურ-ტექნიკური ბანაკ-ბიბლიოთეკა-ბიუროები-ბანკ-

პარტიული ცხოვრება: ანგარიშგება-არჩევნები

საამქროში მანქანების გუგუნი, კონვეიერთან მსხდომი გოგონები თავაუღებლად შრომობენ. თითების სწრაფი, ზუსტი მოძრაობით დგარის ღარებში აწყობენ მომინანქრებული მავთულით დახვეულ კოჭებს. სამუშაო ადგილი ცდომოდ და სწრაფად უნდა დასრულდეს, და ასეც ხდება.

„ალგა“-ს ბაზა ნერჩინსკის მეფრინველეობის მანქანათსაშენებელი ქარხანა ამ გოგონების ნახელავს წარმატებით იყენებს მეფრინველეობის ფაბრიკებში, კომპლექსებში, მოსწონთ „კლიმატ-2“, „კლიმატ-4“, „კლიმატ-6“ ვენტილატორები.

საქმეთან შენმაგ გამოგაჩინოსო... და ქ. ფოთის ელექტრომანქანების გაძლიერების ქარხნის მცირე სიმძლავრის ძრავების საამქროს დამხვევთა ამ უბნის ახალგაზრდა კომუნისტებიც გამოაჩინა შრომამ, კოლექტივიც თავი ისახელეს და არც ის რეკომენდატორები შეურცხვენიათ, პარტიაში შესვლის წინ გულდაგულ რომ წონიდნენ თითოეულ სიტყვას. ის კი არა, საწარმოში დაძაბული დღეები რომ დგება და საერთო გეგმის შესრულებას საფრთხე ექმნება, ამ გოგონებს შეავლებენ ხოლმე იმედის თვალს და ისინიც ყოველთვის ამართლებენ იმედს.

თოთხმეტკაციანი პარტჯგუფის კომუნისტები იმ დღეს განსაკუთრებით გულმოდგინედ შრომობდნენ, 365 ძრავა დაახვიეს, უწუნოდ იმუშავეს და პარტჯგუფის სანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, როგორც ყოველთვის, პირნათლნი მივიდნენ. სათქმელი ბევრი ჰქონდათ.

წითელი თავსაფრების გახსენება

კარტიული ჯგუფი ანგარიშს აბარებს

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გარდამავალი წითელი დროშის დასაკუთრება მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ გამოშვებულ პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული და მისი ხვედრითი წილი ქარხნის პროდუქციის მოცულობაში 69 პროცენტს შეადგენს. ეს ყველაფერი გამოჩნდა კიდეც პარტჯგუფორგის ლ. მატკავას საანგარიშო მოხსენებაში. მოელი წლის განმავლობაში პარტჯგუფორგს არაერთხელ განუხილავს პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და წუნის აღმოფხვრის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, ეკონომიკური განათლების სკოლების და საგაზეთო მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხები.

რასაკვირველია, ყველა კომუნისტს ჰქონდა პარტიული დავალება, რომელსაც განსაკუთრებით კარგად გაართვეს თავი აგიტატორმა მ. მალანიამ, კედლის გაზეთის „კომკავშირელის“ სარედაქციო კოლეგიის წევრებმა ნ. კარტოზიამ, შ. კუციამ, საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის წევრმა ც. ცხვიტარიამ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეპუტატმა ლ. ნოდიამ, ახალგაზდათა დამრიგებლებმა მ. ზარგინავამ, დ. გოგონავამ.

და ასეთი მუშაობის დროს განსაკუთრებით დასანანია, როდესაც შენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საერთო წარმატებისათვის ხელშემშლელის როლში გამოდიხარ. ასე დაემართათ აქ სულ ცოტა ხნის წინათ. ქარხანაში პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 100,5 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა, მცირე სიმძლავრის ძრავების საწარმოო საამქროსაც 8 თვის გეგმა რომ შეესრულებინა. ეს ჩამორჩენა გამოიწვია იმან, რომ ძრავის კორპუსისათვის აუცილებელი სხმულებით საწარმო თავის დროზე ვერ უზრუნველყო ბაქოს ელექტროფოლადთუჯსამსხმელო ქარხანამ.

საანგარიშო მოხსენებაში კრიტიკულად აღინიშნა ისიც, რომ სატვირთო და მექანიკური უბნები და დარგების დამზღვევთა უბანს რიტმულად ვერ აწვდიან დასაკომპლექტებელ დეტალებს, შეფერხებებია მასალებით მომარაგებაში, არის მოცდენებიც. სამაგიეროდ მოცდენების ასანაზღაურებლად იწყება იერიშობა-ნა, რაც იწვევს წუნს, პარტჯგუფს ეს საკითხი უყურადღებოდ არ დარჩენია, მაგრამ მიღებული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

გულისტკივილით აღინიშნა ერთი ფაქტი: წლების წინ ქარხანაში იშვა და წარმატებითაც გავრცელდა თაოსნობა — „წითელთავსფრიანთა მოძრაობა“. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ვლინდებოდა შეჯიბრებაში გამარჯვებული, რომელსაც წითელი თავსაფრის ტარების უფლება ეძლეოდა. ამ მოძრაობამ ქარხნის მრავალი ახალგაზდა დაოსტატა. იგი დიდი სტიმული იყო შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად, მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სიძნელეების დასაძლევად. სამწუხაროდ, თაოსნობამ ნელ-ნელა დაკარგა თავდაპირველი შემართება და მერე სულ მიივიწყეს. არც პროფკავშირის საქარხნო კომიტეტი ფიქრობს ამ მიძინებული თაოსნობის „გაღვიძებას“.

ძრავის კორპუსისათვის აუცილებელი სხმულებით საწარმო თავის დროზე ვერ უზრუნველყო ბაქოს ელექტროფოლადთუჯსამსხმელო ქარხანამ.

საანგარიშო მოხსენებაში კრიტიკულად აღინიშნა ისიც, რომ სატვირთო და მექანიკური უბნები და დარგების დამზღვევთა უბანს რიტმულად ვერ აწვდიან დასაკომპლექტებელ დეტალებს, შეფერხებებია მასალებით მომარაგებაში, არის მოცდენებიც. სამაგიეროდ მოცდენების ასანაზღაურებლად იწყება იერიშობა-დაგვიწყებას მიეცა მეორე შესანიშნავი ღონისძიებაც — კონკურსები პროფესიაში საუკეთესოს გამოსავლენად, რომელშიც ქარხნის 30-წლამდე ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. პარტჯგუფს კი საანგარიშო პერიოდში ეს ერთხელაც არ გახსენებია.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პარტჯგუფი სისტემატურ კონტროლს უწევდა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მდგომარეობას. ამას ბევრი დადებითი ძვრები მოჰყვა. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ქარხნის ტერიტორიაზე შერეული ტიპის მაღაზიის გახსნა, ხოლო ორი წელია, რაც დაიხურა ფეხსაცმლების შემკეთებელი სახელოსნო, სამაგიეროკი არ ჩანს.

მრავალგზის გამოუთქვამთ უკმაყოფილება საწარმოს მშრომელებს იმის გამო, რომ საშეელი არ დაადგა ტაბიძის ქუჩის ჩიხის კეთილმოწყობას, არადა, სწორედ ამ ჩიხით დაღის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა უდიდესი ნაწილი, წვიმიან ამინდში კი საწარმოს ტერიტორია იტბორება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კრების საქმიან ვითარებაში მიმდინარეობას ხელი შეუწყო კომუნისტთა აქტიურმა გამოსვლებმა, რომლებიც არაერთ საჭირბოროტო საკითხს შეეხენ, ზოგიერთი გადასაწყვეტად დასვეს ზემდგომი ორგანოების წინაშე.

კომუნისტური შრომის დამკვრელმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრმა ციალა ცხვიტარიამ თქვა, რომ მომავალ საანგარიშო პერიოდში მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას.

— გასულ საანგარიშო პერიოდში, — თქვა მან, — პარტჯგუფის 10 წევრი გაერთიანდა „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის“ შემსწავლელ პოლიტწრეში. პროგრამით გათვალისწინებული საკითხები საინტერესო იყო. მაგრამ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მომდინარე წლის 1 ივნისს დაიწყო და 30 სექტემბრამდე გასტანს ეკონომიკური განათლების სისტემის საშუალო რგოლის პროპაგანდისტთა ოცდღიანი გადამზადება ზონების მიხედვით. პროპაგანდისტთა მეცადინეობები უკვე მოეწყო ბათუმის, ქუთაისის, თელავის ზონებში, სადაც თეორიული მომზადებისა და მეთოდიკური დახელოვნების დონე აიმაღლა 600-ზე მეტმა პროპაგანდისტმა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლში მუშაობას შეუდგა პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები. აქ თბილისელი პროპაგანდისტების გარდა შეიკრიბნენ ბორჯომის, ხაშურის, ცხინვალის, ჯავის, ყაზბეგის, მცხეთის, ახალქალაქის, რუსთავის, გორდ-ბნის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების პროპაგანდისტები.

პროპაგანდისტებს ლექციებს კითხულობენ ეკონომიკურ საგნებზე, „წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები“, „პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის მოწინავე გამოცდილება“, „ხელმძღვანელის შრომა“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა“ და სხვ.

პროპაგანდისტებს ლექციებს უკითხავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

პროპაგანდისტები მეცადინეობას 29 სექტემბერს დაამთავრებენ და მაშინვე სამუშაო უბნებს მიაშურებენ, რათა მიღებული ცოდნა გაუზიარონ თავიანთ მსმენელებს ახალ სასწავლო წელს.

ი. აბესაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სნაველობენ პროპაგანდისტები

იმ საპროგრამო მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც პროპაგანდისტთა კადრებს დაუსახა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მომდინარე წლის 1 ივნისს დაიწყო და 30 სექტემბრამდე გასტანს ეკონომიკური განათლების სისტემის საშუალო რგოლის პროპაგანდისტთა ოცდღიანი გადამზადება ზონების მიხედვით. პროპაგანდისტთა მეცადინეობები უკვე მოეწყო ბათუმის, ქუთაისის, თელავის ზონებში, სადაც თეორიული მომზადებისა და მეთოდიკური დახელოვნების დონე აიმაღლა 600-ზე მეტმა პროპაგანდისტმა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში მუშაობას შეუდგა პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები. აქ თბილისელი პროპაგანდისტების გარდა შეიკრიბნენ ბორჯომის, ხაშურის, ცხინვალის, ჯავის, ყაზბეგის, მცხეთის, ახალქალაქის, რუსთავის, გორდ-ბნის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების პროპაგანდისტები.

პროპაგანდისტებს ლექციებს კითხულობენ ეკონომიკურ საგნებზე, „წარმოების ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები“, „პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის მოწინავე გამოცდილება“, „ხელმძღვანელის შრომა“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა“ და სხვ.

პროპაგანდისტებს ლექციებს უკითხავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

პროპაგანდისტები მეცადინეობას 29 სექტემბერს დაამთავრებენ და მაშინვე სამუშაო უბნებს მიაშურებენ, რათა მიღებული ცოდნა გაუზიარონ თავიანთ მსმენელებს ახალ სასწავლო წელს.

ი. აბესაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მდივნების სემინარზე

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია.). ახლახან პარტიის ზუგდიდის რაიკომში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და იდეოლოგიური მუშაობის დარგში მათი მოადგილეებისათვის გაიმართა მორიგი სემინარი, რომლის მონაწილეებმა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მოისმინეს პარტიის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებები, გეგეჭკორი ამ მხრივ რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის გამოცდილებას.

დასასრულ სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

რედაქციას უპასუხებენ

კრიტიკული მკმოსვლის შემდეგ

პარტიის ცხაკაიას და ქარელის რაიკომები

„მუშაკაცის სადილი“ — ასეთი სათაური ჰქონდა „კომუნისტში“ დაბეჭდილ მოწინავე სტატიას, რომელიც მუშათა სასადილოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა: ამის გამო პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვ. ესვანჯია გვწერს:

კრიტიკა, რომელიც შეეხებოდა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მუშათა სასადილოს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, სამართლიანია.

კომბინატის სასადილო არ იყო კეთილმოწყობილი, რაზეც იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიურომ და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა საჭირო ღონისძიებები.

კომბინატის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მუშათა კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომლის შესაბამისად ამჟამად მიმდინარეობს სასადილოს შენობის რეკონსტრუქცია. სასადილო დარბაზს ემატება 140 დასაჯდომი ადგილი, შენდება სამზარეულო და დამხმარე სათავსები. შეიძინეს ინვენტარი, დაინერგა კვების პროგრესული მეთოდები. შემოღებულია მუშათა ერთჯერადი უფასო კომპლექსური კვება. სასადილოში მუშებს უფასოდ ეძლევათ კიტრი, პამიდორი და ხაჭამორო, რომელსაც კომბინატი თვითონ აწარმოებს დამხმარე მეურნეობაში.

ამავე საკითხზე პარტიის ქარელის რაიკომის პირველი მდივანი ო. კილასონია გვატყობინებს.

ბაზეთის მოწინავე სტატიაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენი რაიონის კოლეგიურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშათა სასადილოების მუშაობას ეხება, სინამდვილეს შეეფერება.

კრიტიკულ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად განხორციელდა სათანადო ღონისძიებები. რუისის საბჭოთა მეურნეობის მუშათა სასადილოს დროულად გახსნისათვის შეიძინეს საჭირო სავაჭრო ინვენტარი, ეს ობიექტი უახლოეს პერიოდში გაიხსნება.

●●

აჭარის ასსრ ვაჭროგის მინისტრი

ტურისტთა მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „ნუ ვათქმევინებთ ძვირს“. ამის გამო აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ი. ხარაზი გვაცნობებს:

ბაზეთში მოყვანილი ფაქტები სავსებით სწორია. მიღებული ზომების მიუხედავად, ტურისტთა მომსახურებისათვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საჭირო პირობები. გაზეთში მოყვანილი ფაქტის გამო რესტორან „აფხაზეთის“ დირექტორს შ. დიასამიძეს გამოეცხადა საყვედური. ცნობად იქნა მიღებული, რომ ანალოგიური დარღვევებისათვის აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა რესტორან „სპორტის“ დირექტორს შ. ბურვანიძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. სამინისტროს კოლეგიამ კომპლექსური ღონისძიება შეიმუშავა ტურისტთა და დამსვენებელთა მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ამ საქმეს კონტროლი დაუწესა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ.

— — — კომკავშირული მგზნებარეობით — — —





გამომთვლელ მანქანებთან

თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მართული გამომთვლელი მანქანების ქარხნის კოლექტივი „ეს-60, ე-6000, ეს-300 და სხვა ურთულეს თანამედროვე ტექნიკურ-გამომთვლელ კომპლექსებს, ქარხნის პროდუქცია საკვეყნოდ ცნობილია.

მართული გამომთვლელი მანქანების ქარხანას სამართლიანად უწოდებენ ახალგაზრდულს. კოლექტივის წევრებიდან ყოველი მეორე კომკავშირელია, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა საწარმოს წარმატებებში. მთელი პროდუქციის 55 პროცენტს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებენ.

12 კომპლექსურ-ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს გრაფიკის გასწრებით, 600 ახალგაზრდა მუშაკს მინიჭებული აქვს უფლება პროდუქცია ჩააბაროს კომკავშირული გარანტიით. აქტიურად მუშაობენ კომკავშირული პროექტორისტები, რომლებიც იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საწარმოს კოლექტივი ამუშავებს მოქმედების პროგრამას, თუ როგორ უნდა განახორციელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. ახალი პროგრამის გამოყენება შესაძლებლობას მისცემს მშრომელებს მეათე ხუთწლედის დამლევისათვის თითქმის ერთიორად გაზარდონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვება. საწარმო დიდად რენტაბელური გახდება.

სურათებზე: თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მართული გამომთვლელი მანქანების ქარხნის კომკავშირის კომიტეტში განიხილავენ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პროგრამას; კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც მალხაზ არჩვაძე (ცენტრში) ხელმძღვანელობს, უშვებს ხარისხისნიშნიან პროდუქციას და მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია; ინჟინერ-გამმართველები უშანგ ალიაძე და ნოდარ ბენაშვილი ცდიან გამომთვლელ კომპლექსს.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მერხიდან ნარმოებაში...

ჭიათურის საწარმოებში ერთი წლის წინათ მოსული საშუალო სკოლის 500-მდე კურსდამთავრებული ქმაყოფილია არჩეული პროფესიით და თვლის, რომ იპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში.

საყვარელი საქმის გამონახვაში ქალაშვილებსა და ჭაბუკებს დაეხმარა „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატში არსებული პროფესიული ორიენტაციის საბჭო. აქ ახალგაზრდებს აცნობენ სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა შრომის პირობებს.

კომბინატისათვის საჭირო სპეციალობათა შესახებ ლაპარაკია ადრეთვე ცნობარებში „აირჩიე, სად იმუშაო“, „შრომა და სწავლება“, „ჩვენს ნორჩ მეგობარს“. მათი საშუალებით ახალგაზრდობა იგებს, თუ როგორია ხელფასი და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, თუ ახალგაზრდა მუშა აირჩევს კომბინატისათვის საჭირო სპეციალობას, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ საწარმოს სტიპენდიატი ხდება.

ადმინისტრაცია ზრუნავს ქალაშვილებისა და ჭაბუკების დასვენებისთვისაც. ჭათ განაკარგულებაშია ახალგაზრდული კლუბები, სტადიონი, ორი საცურაო აუზი, ათი სპორტული დარბაზი, ქალაქგარეთა დასასვენებელი ბაზები და პანსიონატები.

. მე-9-მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის კომბინატში შექმნილია სასწავლო საამქრო. ორი წლის მანძილზე უფროსკლასელს შეუძლია შეიძინოს არჩეული პროფესიის ჩვეები. მეცადინეობა კვირაში ორჯერ სკოლისგან თავისუფალ დღეებში იწყობა.

საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს რიტუალებს, რომლებიც ახალგაზრდებს უღვივებს არჩეული პროფესიის სიყვარულს. ერთ-ერთი ყველაზე საზეიმო აქტია მუშად კურთხევა. სოციოლოგთა ანკეტების შევსებისას წარმოების ახალგაზრდა მუშაკთა უმრავლესობამ ეს დღე ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე სამახსოვრო დღედ დაასახელა.

საზეიმო ვითარებაში — მშობლების, მეგობრების, ქალაქის წარჩინებული ადამიანების თანდასწრებით ახალგაზრდებს გადასცემენ მაღაროელის ქუდუკს, ჩაჩქანსა და „ახალგაზრდა მუშის შრომითის პასპორტს“, რომელშიც შემდგომში ჩაიწერება ცხობები კვალიფიკაციის ამაღლების, საზოგადოებრივ საქმეებსა და სპორტში მონაწილეობის შესახებ.

„ჭიათურმანგანუმის“ კომბინატს ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს 300-500 კურსდამთავრებული ემატება.

ხარაჩოებზეა ახალგაზრდობა

ტყიბული. (საკ. კორ.) მეშახტეთა ქალაქი ხარაჩოებშია ჩასმული. ვიდაზე ადრე დამთავრდა სტალინის სახელობის შახტის ახალი, ღრმა სამთო ჰორიზონტის შენებლობა. ერთი წუთითოც არ წყდება ხმაური ახალი „დასავლეთ-2“ შახტის მიწისქვეშა სამშენებლო მოედანზე. ორკონიკიძის სახელობის შახტის მესამე სამთო ჰორიზონტზე დაიწყო მეორე რიგის კაპიტალური გამონამუშევრების გაყვანა.

ქალაქის ცენტრში ქუთაისის სახლთმშენებლობის კომბინატის კოლექტივმა უკვე დაამთავრა ახალი მაღლივი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება. აქ ახალმოსახლეობას იზეიმებს 90 ოჯახი. ოქტომბრის ქუჩის არქიტექტურული ანსამბლი დაამშვენა ოთხსართულიანმა საყოფაცხოვრებო სახლმა. იგი ფალე მომსახურებას გაუწევს ქალაქის მოსახლეობას.

ფარფო ფრონტით მიმდინარეობს საამფუშაოები 200-დგილიანი საავადმყოფოს კომპლექსის მშენებლობაზე.

ვ. ციბეკიძე.

წმინდა ანგარიშგება

ანგარიშგება-არჩევნები

საამქროში მანქანების გუგუნი, კონვეიერთან მსხდომი გოგონები თავაუღებლად შრომობენ. თითების სწრაფი, ზუსტი მოძრაობით დგარის ღარებში აწყობენ მომინანქრებული მავთულით დახვეულ კოჭებს. სამუშაო ადგილი ცდომოდ და სწრაფად უნდა დასრულდეს, და ასეც ხდება.

„ალგა“-ს ბაზა ნერჩინსკის მეფრინველეობის მანქანათსაშენებელი ქარხანა ამ გოგონების ნახელავს წარმატებით იყენებს მეფრინველეობის ფაბრიკებში, კომპლექსებში, მოსწონთ „კლიმატ-2“, „კლიმატ-4“, „კლიმატ-6“ ვენტილატორები.

საქმეთან შენმაგ გამოგაჩინოსო... და ქ. ფოთის ელექტრომანქანების გაძლიერების ქარხნის მცირე სიმძლავრის ძრავების საამქროს დამხვევთა ამ უბნის ახალგაზრდა კომუნისტებიც გამოაჩინა შრომამ, კოლექტივიც თავი ისახელეს და არც ის რეკომენდატორები შეურცხვენიათ, პარტიაში შესვლის წინ გულდაგულ რომ წონიდნენ თითოეულ სიტყვას. ის კი არა, საწარმოში დაძაბული დღეები რომ დგება და საერთო გეგმის შესრულებას საფრთხე ექმნება, ამ გოგონებს შეავლებენ ხოლმე იმედის თვალს და ისინიც ყოველთვის ამართლებენ იმედს.

თოთხმეტკაციანი პარტჯგუფის კომუნისტები იმ დღეს განსაკუთრებით გულმოდგინედ შრომობდნენ, 365 ძრავა დაახვიეს, უწუნოდ იმუშავეს და პარტჯგუფის სანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, როგორც ყოველთვის, პირნათლნი მივიდნენ. სათქმელი ბევრი ჰქონდათ.

წითელი თავსაფრების გახსენება

კარტიული ჯგუფი ანგარიშს აბარებს

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გარდამავალი წითელი დროშის დასაკუთრება მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. აქ გამოშვებულ პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული და მისი ხვედრითი წილი ქარხნის პროდუქციის მოცულობაში 69 პროცენტს შეადგენს. ეს ყველაფერი გამოჩნდა კიდეც პარტჯგუფორგის ლ. მატკავას საანგარიშო მოხსენებაში. მოელი წლის განმავლობაში პარტჯგუფორგს არაერთხელ განუხილავს პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და წუნის აღმოფხვრის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, ეკონომიკური განათლების სკოლების და საგაზეთო მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხები.

რასაკვირველია, ყველა კომუნისტს ჰქონდა პარტიული დავალება, რომელსაც განსაკუთრებით კარგად გაართვეს თავი აგიტატორმა მ. მალანიამ, კედლის გაზეთის „კომკავშირელის“ სარედაქციო კოლეგიის წევრებმა ნ. კარტოზიამ, შ. კუციამ, საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის წევრმა ც. ცხვიტარიამ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეპუტატმა ლ. ნოდიამ, ახალგაზდათა დამრიგებლებმა მ. ზარგინავამ, დ. გოგონავამ.

და ასეთი მუშაობის დროს განსაკუთრებით დასანანია, როდესაც შენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საერთო წარმატებისათვის ხელშემშლელის როლში გამოდიხარ. ასე დაემართათ აქ სულ ცოტა ხნის წინათ. ქარხანაში პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 100,5 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა, მცირე სიმძლავრის ძრავების საწარმოო საამქროსაც 8 თვის გეგმა რომ შეესრულებინა. ეს ჩამორჩენა გამოიწვია იმან, რომ

მომჭირნეობა მეურნეობრიობის კანონია

როგორ ვემზადებით ზამთრისათვის

ბაზეთ „ალგა“-ს ბოლო ნომერში ერთ-ერთ ადგილზე ასეთი ინფორმაციაა: „ალგა“-ს ბაზა ... ...

არმია და ხალხი ერთიანია

ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა სისტემაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ სოციალიზმის ბედისათვის, სამშობლოს აყვავებისა და უშიშროებისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობა.

ამ მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს. არმიაში სამსახური ხომ თავისთავად შრომისა და მხედრული გაწვრთნილობის, ზნეობრივი სიწმინდისა და ეაქციაობის, პატრიოტიზმისა და ვალდებულების შესანიშნავი სკოლაა. ახალგაზრდობა, რომელიც საარმიო სკოლას გადის, იძენს ამ მაღალ მორალურ-სამხედრო თვისებებს. ეს შესანიშნავად თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე: „ჭაბუკები ისე მიდიან ჯარისაკაცულ ოჯახში, რომ ცხოვრების სკოლა არა აქვთ გავლილი. მაგრამ ჯარიდან უკვე ბრუნდებიან გამძლეობისა და დისციპლინის სკოლაგამოვლილ ადამიანებად, რომლებმაც მიიღეს ტექნიკური, პროფესიული ცოდნა და პოლიტიკური მომზადება“.

მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში, სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში რესპუბლიკის კომისარიატებს აქტიურად ეხმარებიან და მხარს უჭერენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, რომელთა მიზანია მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის დონის ამაღლება და შრომითს კოლექტივებთან ჯარის ნაწილების სამეფო კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამხედრო-პატრიოტული მუშაობის აქტიურობისა და მიზნადასახულობის ამაღლებას ხელს უწყობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც განუხრელად ხორციელდება. მთელ ამ მუშაობას ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან შექმნილი საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც რესპუბლიკის თავდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიან.

ახალგაზრდობისათვის მაღალი მორალურ-პოლიტიკური და საბრძოლო თვისებების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკაში შექმნილი 150 მუზეუმი და 3.500-ზე მეტი საბრძოლო დიდების ოთახი და კუთხე, 100-მდე ლენინური, მამაცი მეომრის 90 კლუბი და 65 უნივერსიტეტი, საბჭოთა არმიის ნორჩ მეგობართა 400 რაზმი. მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ფართოდ იყენებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის, საქართველოს კომკავშირის ისტორიის, ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ჯარის, ჭალაჯ გორის საბრძოლო დიდების მუზეუმების მდიდარ შესაძლებლობებს, რომლებმაც თავიანთი ღონისძიებებში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე 500 ათასზე მეტი კაცი ჩაიბეს.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და ჯარის ნაწილებთან საშეფო კავშირურთიერთობის განმტკიცებისათვის მუშაობის საინტერესო ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ აფხაზეთში, აჭარაში, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში და ფოთში.

შინაარსიანად და გამიზნულად წარმოებს სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობა ქალაქ თბილისის ლენინის, ოქტომბრის, 26 კომისრის სახელობის რაიონებში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, სიღნაღში, თელავში, ტყიბულში, წულუკიძეში, წყალტუბოსა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში. წლითიწლობით ისინი მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მუშაობაში.

ამ ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატების მიერ შეიარაღებულ ძალებში გაწვეულთა შორის 90 პროცენტზე მეტს აქვს სამუშაო და უმაღლესი განათლება, 96 პროცენტმა შეასრულა „შმო“ კომპლექსის ნორმატივები. დაახლოებით 95 პროცენტი კომფოსტატი და კომკავშირელია. მათ გაიარეს კარგი პირველდაწყებითი სამხედრო მომზადება, დაეუფლნენ ერთ-ორ სამხედრო ტექნიკურ სპეციალობას — რადიოტელეგრაფისტის, ელექტრიკოსის, პარაშუტისტის, ავტომობილის მძღოლის და სხვა სპეციალობებს.

წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების — ფასდაუდებელი ტრილოგიის „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყაბირის“ გამოყენებისათვის მუშაობის გარკვეული დადებითი გამოცდილება შეიძინეს მახარაძის რაიონში.

რაიონის ცხოვრებაში საგულისხმო მოვლენებად იქცა ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის ლ. ი. ბრეჟნევის შრომებისა და ოქტომბრის, 26 კომისრის სახელობის რაიონებში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, სიღნაღში, თელავში, ტყიბულში, წულუკიძეში, წყალტუბოსა და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში. წლითიწლობით ისინი მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მუშაობაში.

ამ ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატების მიერ შეიარაღებულ ძალებში გაწვეულთა შორის 90 პროცენტზე მეტს აქვს სამუშაო და უმაღლესი განათლება, 96 პროცენტმა შეასრულა „შმო“ კომპლექსის ნორმატივები. დაახლოებით 95 პროცენტი კომფოსტატი და კომკავშირელია. მათ გაიარეს კარგი პირველდაწყებითი სამხედრო მომზადება, დაეუფლნენ ერთ-ორ სამხედრო ტექნიკურ სპეციალობას — რადიოტელეგრაფისტის, ელექტრიკოსის, პარაშუტისტის, ავტომობილის მძღოლის და სხვა სპეციალობებს.

წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების — ფასდაუდებელი ტრილოგიის „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყაბირის“ გამოყენებისათვის მუშაობის დათვალიერება, შეხვედრები მცირემიწელებთან.

ჩვენში გაჩნდა სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ახალი ფორმებიც. რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ეწყობა კონფერენციები, შეკრებები, გასაწვევებისა და მათი მშობლების კრებები, საღამოები ჭიქა ჩაიზე, რომლებზეც იწვევენ ომისა და შრომის ვეტერანებს, საბჭოთა კავშირის გმირებსა და ხოციალისტური შრომის გმირებს, პოპულარული გახდა თემატური საღამოები „მამათა დიდების მემკვიდრენი“.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების დაუცხრომელი ზრუნვისა და ქალაქებისა და სოფლების საზოგადოებრიობის პირადი ინიციატივით რესპუბლიკაში დღითი დღე ფართოვდება ომის წლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა კომპლექსი.

საქართველოს პიონერები და მოსწავლეები დიდი სიყვარულით უვლიან იმ მეომართა 3.750 ძეგლს, ობელისკს, მემორიალურ და ძმათა საფლავს, რომლებშაც სიცოცხლე გასწირეს სამშობლოსათვის დიდი სამამული ომის წლებში.

ზუგდიდის, საჩხერის, ხობის რაიონებში პარტიის რაიკომებისა და სამხედრო კომისარიატების ინიციატივით და კომკავშირელებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით შეიქმნა დიდ სამამული ომში დაღუპულ მეომართა სახლ-მუზეუმები.

ჩვენთან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა შეიძინა არმიასა და ფლოტში გასაწვევთა გაცილების რიტუალებმა; სამხედრო სამსახურში ახალგაზრდობის საზეიმო გაცილება, ომისა და შრომის ვეტერანების მიერ გზის დალოცვა ყველგან იქცევა აღმფრთოვანებელ დღესასწაულად, შეიარაღებული ძალებისადმი საბჭოთა ადამიანების სიყვარულის მკაფიო გამოვლინებად, არმიისა და ხალხის ერთიანობის დემონსტრაციად.

ქართველ საბჭოთა მწერლებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, კომპოზიტორებსა და დრამატურგებს ბევრი ნაწარმოები შეუქმნიათ ჯეროვან-პატრიოტულ თემაზე. მარტო ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს წიგნის გამომცემლობამ გამოუშვა 60-ზე მეტი წიგნი და ბროშურა, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა ადამიანების მამაცობასა და გმირობას საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

შეიარაღებულ ძალებში სამსახური საპატიო მოვალეობაა. ხალხი ჯარისკაცს ანდობს თავის უშიშროებას. ცხადია, რომ მშობლიური არმიაში სამსახურისათვის საზეიმო, სადღესასწაულო ვითარებაში აცილებენ ახალგაზრდებს მთელი სოფელი, მთელი ქუჩა, დაბა, რაიონი, ქალაქი, მთელი რესპუბლიკა, არმიაში ჭაბუკის გაწვევის დღე კი ღირსშესანიშნავი მოვლენაა და არა „თავისუფალ ცხოვრებასთან“ განშორების სიმძიმე. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება ხოლმე, რომ არმიაში გაწვეული ზოგიერთი ჭაბუკი მთვრალი და უწესრიგოდ ჩაცმული მოდის გასაწვევ პუნქტში. მართალია, ეს ფაქტები ერთეულია, მაგრამ მათ არ უნდა შევურიგდეთ.

ისიც ხდება ხოლმე, რომ არმიაში გაწვეულთა საზეიმო გაცილება ფორმალურად ეწყობა, ამ გაცილებას არ ესწრებიან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელები.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში, კერძოდ ზესტაფონის რაიონში საბჭოთა არმიის რიგებში გაცილება ამ ბოლო დროს ნამდვილ ღრეობად იქცეოდა ხოლმე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჭაბუკთა ოჯახში, სკოლაში, შრომითს კოლექტივში, ინსტიტუტსა და ჩვენი საზოგადოების სხვა რგოლებში აღზრდის პრობლემა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არის არსებითი ხარვეზები სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, მოზარდი თაობის ზნეობრივ აღზრდაში, ზოგჯერ კომპლექსურად არ უდგებიან ესოდენ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ახალგაზრდობასთან სამხედრო-პატრიოტული და აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებს თანამედროვე ეტაპზე მისი ეფექტიანობის გაძლიერების შესახებ. ბოგდანოვკის, დმანისის, ლენინგორის, მესტიის, ონის, ხაშურის, წალკის რაიონებში სამხედრო-პატრიოტული მუშაობა მოკლებულია გეგმიანობასა და მიზნასწრაფულობას.

არმიასა და ფლოტში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების საერთო სისტემაში საჭიროა ზრუნვა ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის ამაღლებისათვის, არარუსი ეროვნების მომავალი მეომრების მიერ რუსული ენის შესწავლისათვის.

საჭიროა გავაუმჯობესოთ რუსული ენის, მისი ცუდად მცოდნე პირებთან ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენის შესწავლის ორგანიზაცია სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიხედვით. ეს საშუალებას მისცემს ახალგაზრდა პატრიოტებს უფრო მოკლე ვადებში აითვისონ ურთიერთული ტექნიკისა და აპარატურის მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე სამხედრო სპეციალობანი.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე 1979 წლის 26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ახალგაზრდობის მომზადებას საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის, არმია და ფლოტი — ეს არის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფაქტორები... ჩვენი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, კომკავშირის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ინსტიტუტების მუშაობა, მთელი ჩვენი იდეოლოგიური საქმიანობა ისეთნაირად უნდა აიგოს, რომ ახალგაზრდობის არმიამდელი აღზრდა მტკიცე საძირკველს უყრიდეს საარმიო აღზრდის მაღალ ეფექტიანობას. ეს არის ჩვენი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა“.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატი და მისი პოლიტიკური განყოფილება კრიტიკულად აფასებენ თავიანთ მუშაობას, ნათლად ვგრძნობთ ეროვნებებს არსებითს ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, გამოუყენებელ შესაძლებლობებსა და რეზერვებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობით, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უზრუნველყოთ სამობილიზაციო მზადყოფნის მაღალი დონე, გავაუმჯობესოთ სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების ხარისხი.

პოლკოვნიკი

ლ. შარაშენიძე,

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი.

ალზრდის დიდი სკოლა

ვემსახურებით საბჭოთა კავშირს!..

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჟურნალის

დაიწყო ზოგადპოლიტიკური დისკუსია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიაზე დაიწყო ზოგადპოლიტიკური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობისათვის ჩაეწერა 150-მდე ორატორი. ტრადიციისამებრ ქვეყნების წარმომადგენლები — პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები და საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთ გამოსვლებში აშუქებენ საკუთარ მთავრობათა პოზიციებს საერთაშორისო ურთიერთობის საკვანძო პრობლემებზე.

34 წლის წინათ 51 ქვეყანამ შექმნა მსოფლიო გაერთიანება, რომლის წევრია ახლა 152 სახელმწიფო. შეიცვალა დისკუსიათა ხასიათიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პლენარულ სხდომათა ცისფერ დარბაზში, რაც მოწმობს საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა განლაგებაში მომხდარ ფუნდამენტურ ცვლილებებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდი უმრავლესობა გამალებული შეიარაღების, იმპერიალისტური და ნეოკოლონიალისტური დიქტატის ცდების, დისკრიმინაციული ეკონომიკური ურთიერთობის თავსმოხვევის მტკიცე მოწინააღმდეგეთა პოზიციებიდან გამოდის. გასაგებია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის ასეთი ტენდენციების გამო, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც წინათ არსებითად განუყოფლად ბატონობდნენ გენერალური ასამბლეის დარბაზში და ხელთ ეპყრათ კენჭის ყრის სადაოები. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გულახდილად წერს, რომ „ასამბლეის დელეგატთა დიდი უმრავლესობა უარყოფს დასავლეთის პოზიციას“.

ამიტომ დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ გათიშონ ასამბლეის ანტიიმპერიალისტური უმრავლესობა, აამხედრონ მისი ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ. ახლანდელ სესიაზე მისი მუშაობის პირველი დღეებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინმა, რომლებიც ერთიანი ფრონტით მოქმედებენ, აშკარად სცადეს აეცდინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების განხილვის გზისთვის და თავს მოუხვიათ მისთვის გამოგონილი დისკუსია „კამპუჩიის უფლებამოსილების საკითხზე. ეს „იყო აგრეთვე მანევრი, რომელიც მიზნად ისახავდა აეძულებინათ მიუმხრობლობის მოძრაობა გადაესინჯა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ჰავანაში მიიღო მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ამას წინათ დამთავრებულ კონფერენციაზე.

მაგრამ, როგორც ასამბლეის კულუარებში ხაზგასმით აღნიშნავენ დისკუსიის მონაწილენი, მათ განზრახული აქვთ განხილვის ცენტრში დააყენონ საკითხები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ ამოცანას — საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან ახლანდელი სესიის თავმჯდომარემ სალომა ა. სალომმა განაცხადა, რომ „ყველა სახელმწიფოს მეცადინეობის საბოლოო მიზანია ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება, მაშინ როცა უახლოესი მიზანი ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაცია, გამალებული შეიარაღების შეჩერება და მტკიცე მშვიდობისაკენ მიმავალი გზის გაწმენდაა“.

ასამბლეის დელეგატები გაგებით ეკიდებიან და ფართოდ უჭერენ მხარს სსრ კავშირის ნაოელ, კონკრეტულ და რეალისტიურ წინადადებებს, რომელთა მიზანი, როგორც ყველა აღიარებს, გამალებული შეიარაღების შეკავება და განიარაღება, დაძაბულობის შენელების გაღრმავება და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაა. დისკუსიის მონაწილენი აღნიშნავენ, რომ ვიეტნამი მიღწეული საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების განხორციელება და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების მეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების რატიფიკაცია ახალ იმპულსს მისცემენ გამალებული შეიარაღების შეზღუდვის პროცესს, პოლიტიკური დაძაბულობის შენელების შეუფერებელ ატმოსფეროს ხელშეუწყობენ.

ამავე დროს მსოფლიო გაერთიანებაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების მკვეთრი გადიდება, მათი ის გეგმები, რომ ევროპაში განალაგონ ახალ სახეობათა რაკეტულ-ბირთვული იარაღი.

აღმოსავლეთის მთავრობის საგანგებო სხდომა

ჟაბული, 25 სექტემბერი. აქ გაიმართა აღმოსავლეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა. ბახტარის სააგენტომ გაავრცელა ამ სხდომაზე მიღებული აღმოსავლეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება, რომელშიც ამნისტიას უცხადებენ ყველა იმ პირს, რომლებიც სამშობლოს საკეთილდღეოდ შემოქმედებითს საქმიანობაში ჩაებმენ.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რესპუბლიკაში გამოცხადებულია მშრომელთა უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების ხელშეუხებლობა, კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ აპრილის რევოლუციის მტრები არ წყვეტენ ძირგამომთხრელ მოქმედებას და ყოველმხრივ დახმარებას უწევენ იმათ, ვინც დაკარგა მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის შესაძლებლობა. მოუწოდა რა ხალხს გამოიჩინოს სიფხიზლე, აღღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება ჩაფუშოს იმპერიალიზმისა და რეაქციის შეთქმულებანი და ხლიკები სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ფოტო ამხილებს

დაკარგული ბავშვობა

ზრმბის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 1979 წელს მსოფლიოში 52 მილიონი მომუშავე ბავშვი იყო. მიუხედავად ომისა, რომ ამ საკითხებზე ბევრი საერთაშორისო დოკუმენტი აქვთ მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, სკოლამდელ და სკოლის ასაკის ბავშვთა შრომას ფართოდ იყენებენ აზიის, ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში.

დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნის“ ფოტოსურათზე: კაიროელი ბავშვები მძიმე მილებს ეზიდებიან, რათა შიმშილით არ დაიხოცონ.

საკადენის ფოტოქრონიკა.

მეექვსეობენელებენ საქალაქო და ახალი ქმბების საკანონმდებლო კორპუსის კორესპონდენტები

შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიის მონაწილე მოძმე სოციალისტური ქვეყნების — ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, კუბის, ვიეტნამის დელეგაციების მეთაურებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ლაოსის, ეთიოპიის, ანგოლის, ავღანეთის, დემოკრატიული იემენის მოდგმივი წარმომადგენლები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივი მეთვალყურე.

შეხვედრის დროს, რომელმაც გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ეხება, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას, იმსჯელეს აგრეთვე ამ სესიის მუშაობის პროცესში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამავე დღეს ა. ა. გრომიკომ მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სონოდა.

ახალი ამოცანები

პნომპენი. აქ გაიმართა კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის პროვინციული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა დედაქალაქის კანდალის პროვინციის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის 240 წარმომადგენელი. მან მოისმინეს და განიხილეს პოხსენება კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის პროვინციული კომიტეტის საქმიანობის შესახებ, წამოაყენეს ახალი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის ცხოვრების შემდგომ ნორმალიზაციასთან და სახალხო-რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებასთან.

მხარს უჭერენ

ადის-აბება, 25 სექტემბერი. ეთიოპიის 14-ვე პროვინციის ახალგაზრდობისა და ქალთა ასოციაციების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში მტკიცედ დაუჭირეს მხარი დროებითი სამხედრო მთავრობის კურსს, რომლის მიზანია რევოლუციურ მონაპოვართა დაცვა და ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მტკიცე ბაზის შექმნა.

აქ გამართულ საერთო კონფერენციაზე მისმა მონაწილეებმა მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში მშრომელთა პარტიის შექმნას, რომელიც თავის საქმიანობაში მარქსზმ-ლენინიზმის პრინციპებით იხელმძღვანელებს. მათ ერთსულოვნად მოიწონეს ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამის დანიშვნა პარტიის შექმნის მთავარი ცენტრის თავმჯდომარის პოსტზე.

მასობრივი მანიფესტაცია

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების მხარდამჭერი მასობრივი მანიფესტაცია გაიმართა ნიუ-იორკში, მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ ქვეყნის ზანგი მოსახლეობის მრავალი მასობრივი ორგანიზაციის, კომუნისტური პარტიის, პროფკავშირულ და ახალგაზრდულ მოძრაობათა წარმომადგენლები, პოლიტიკური, საზოგადო და რელიგიური მოღვაწენი.

თანამშრომლობის საფუძველზე

ბოლონელი კავშირელისტების ბრძოლა ბანკრესტრეგის ბანკის

ამ დღეებში თბილისის კამვოლ-სართავ ფაბრიკაში პოლონურ ლაპარაკს გაიგონებთ: აქ ქართველ ოსტატებთან ერთად ახალი საფეიერო მანქანების გამართვაში პოლონეთის ფირმა „მაიენის“ სპეციალისტები მონაწილეობენ.

ზდისლავ დუდკევიჩმა, ფირმის დირექტორის მოადგილემ, საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ასეთი მანქანები თქვენს რესპუბლიკაში პირველად თბილისის ფაბრიკაში დაიდგა. ამ კომპლექტური მანქანების დამზარებით მზადდება მაღალხარისხიანი პროდუქცია, ამასთან შრომის ნაყოფიერება დაახლოებით 30 პროცენტით მატულობს.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ფართოდ იყენებენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მანქანათმშენებელთა მიერ დამზადებულ მოწყობილობას. ეს არის ფირმების „ბეფამის“, „ვიფამის“ საჩეჩი, სართავი და სხვა მანქანები. მათი საშუალებით საწარმოს მუშაკებმა ერთიანორად და მეტად გააფართოვეს მომსახურების ზონა და გაზარდეს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

□

იზიარებენ მეგობრების გამოცდილებას

რამდენიმე თვე დაჰყვეს საფრანგეთში თბილისის კონიაკის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა მარლენ ფერაძემ და საამქროს უფროსმა კარლო გელელსაანმა. აი რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მ. ფერაძემ.

— ჩვენი მოგზაურობის მიზანი იყო კონიაკის სპირტი შეგვეძინა საბჭოთა კავშირის საწარმოებისათვის. ჩვენ ვიყავით საფრანგეთის ისეთ ცნობილ ფირმებში, როგორიცაა „ინტერაგრა“, „კოზო-ამპექსი“, „რემი მარტენი“, „კამიუ“, სადაც გავეცნით ტექნოლოგიურ პროცესებს.

საფრანგეთის კონიაკის საწარმოების სპეციალისტებთან მჭიდრო კონტაქტი დავამყარეთ. რამდენიმე წლის წინ მივლინებული ვიყავით საფრანგეთში რათა შეგვესწავლა თუ როგორ ამზადებენ და ინახავენ ღვინოს ლიფთონის დიდ რეზერვუარებში ინერტული გაზის არეში, აგრეთვე როგორ აძველებენ ღვინოებს ბოთლებში. გაურკვევლის საწარმოო გაერთიანებაში უკვე დაიწყეს ამ მეთოდით პროდუქციის დამზადება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის გემოს.

მალე გამოიცდება ახალი სადესერტო ღვინო, რომელიც ჩვენს კომბინატში ფრანგი მეღვინეების ტექნოლოგიით მზადდება.

□

ფარმაცევტული სიახლენი

აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის საავტო დარბაზი დროებით საგამოფენო პავილიონად გადაიქცა. 25 სექტემბერს აქ დაიწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმედ-დრეზდენის ფარმაცევტული მრეწველობის კომბინატის სამედიცინო პრეპარატების დათვალიერება.

დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევენ, კერძოდ, კანის დროებითი შემცველი, რომელიც მსოფლიოში პირველად შექმნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა. ასეთ შემცველს რბილი პენიპოლიურეტანისაგან ამზადებენ და იყენებენ მეორე და მესამე ხარისხის დამწვრობისას. იგი ორმოცი პროცენტით ამოკლებს მკურნალობის პროცესს. მეორე სიახლეა — პრეპარატი აველინი, რომელსაც იყენებენ ფილტვის გართულებისას და ოროობის დაშლისათვის. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც აველინი შექმნეს.

ფარმაცევტული კომბინატი გერმედ-დრეზდენი სამსამდე დასახელების წამლებს გზავნის სოციალისტურ კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებში.

ასეთი ექსპორტიები ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული გახდა. საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად ყიდულობს თითქმის ორმოცი მილიონი მანეთის სხვადასხვა დასახელების სამედიცინო პრეპარატებს, რომელშაც აქვს მარკა — „გაკეთებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

□

პარტნიორები თბილისში შეხვდნენ

25 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ჩვენი დედაქალაქის ძმადნაფიცი — დასავლეთ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ობერ-ბურგომისტრი ოსკარ ლაფონტენი, ბურგომისტრი მაფრედ მიუნსტერი. მერიის ახალგაზრდობის განყოფილების ხელმძღვანელი ქრისტინა კრაევსკი, მერიის პუბლიკაციის განყოფილების უფროსი პეტერ ფიშერი, პოლიტიკური ფრაქციების წარმომადგენლები.

საარის მხარის დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ დამოუკერებული ქალაქების — თბილისის, ნანტისა და საარბრიუკენის მეგობრული შეხვედრაში. (საქინფორმი).

ახლანდელი შეხვედრა კარგ შესაძლებლობას გვაძლევს, რათა კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ მეგობრობა, გავაფართოოთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ახალგაზრდობის ნაყოფიერი თანამშრომლობა, ერთმანეთს გავუზიაროთ მუშაობის გამოცდილება, დავსახოთ მომავლის გეგმები, — თქვა საქინფორმის „ორესპონდენტთან საუბარში ხო ში მინის კომუნისტური ახალგაზრდობის ყავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ნგუენ ტიენ ფონგმა. იგი თბილისში ჩამოუძღვა ვიეტნამელი ახალგაზრდობის დელეგაციას, რომელიც მონაწილეობს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალისტური ქვეყნების შრომელი ახალგაზრდობის შეხვედრაში — „ჩვენ სოციალიზმსა და კომუნიზმს ვაშენებთ“.

გულითადად, ძმურ



ხალხის სიყვარული

დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აჭარასთან.

იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბრის სკოლას.

სასწავლო წლის დასაწყისში იაკობ გოგებაშვილის სახელობის კახაბრის სკოლის ეზოში გაიხსნა დიდი პედაგოგის ძეგლი.

სურათზე: იაკობ გოგებაშვილის ძეგლი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბრის საშუალო სკოლაში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბორჯომი... ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და უძველესი ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტი. უნიკალური ქიმიური შედგენილობის სამკურნალო მინერალურმა წყალმა, მშვენიერმა ჰავამ, თვალწარმტაცმა ბუნებამ, კეთილმოწყობილმა სანატორიუმებმა ამ კურორტს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

„კავკასიონის მარგალიტი", როგორც ბორჯომს უწოდებენ, ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელს იზიდავს ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან.

სურათებზე: მარცხნივ — მინერალურ წყაროსთან; კურორტის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერა — პანსიონატი „პლატო".

ბ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეტეოროლოგიური სადგური 100 წლისაა

ბორჯომი, 25 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საკურორტო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგურის მე-100 წლისთავს მიეძღვნა.

სხდომა გახსნა პარტიის ბორჯომის რაიკომის მეორე მდივანმა ჯ. კოჩაძემ. მოხსენება გააკეთა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა თ. თურმანიძემ.

ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგურის კოლექტივს მიესალმნენ პარტიის ბორჯომის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დ. ჩიკვაძე, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ზ. ცქვიტინიძე, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის საინფორმაციო ცენტრის უფროსი ბ. შეჩკოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პროფესორი ჯ. გოგიშვილი, აზერბაიჯანის მეტეოროლოგიური სამსახურის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსის მოადგილე შ. მამედიაროვი, ერევნის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი ნ. ვალარშანიანი.

წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის საპატიო სიგელები დაჯილდოვეს ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგურის ვეტერანი ვ. კოჩერგინი და სადგურის დირექტორი ვ. ლაბაძე.

საბჭოთა მეცნიერების ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ხაშურის სასოფლო-ხაჟეტესო კოოპერაციის ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო სკოლა

აცხადებს 1979-1980 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას

სკოლა ამზადებს: მეფუტკრე და მეცხოველე ტექნიკოსებს.

სკოლაში მიიღებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გაერთიანებების მეცხოველეობის ფერმის გამგეები (ბრიგადირები), საშუალო და არასრული საშუალო განათლების, სოფლის მეურნეობის მუშაობის გამოცდილების მქონე მეფუტკრეობის დარგის მუშაკები (პრაქტიკოსები).

სკოლაში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და უზრუნველყოფილი იქნებიან ბინითა და კომუნალური მომსახურებით.

ზემოდგომი ორგანიზების დადგენილების თანახმად, სკოლაში მოვლინებულებს კოლმეურნეობებიდან დაერიცხებათ თვეში 20-25 შრომადღე (ერთი შრომადღის ღირებულება — 1 მანეთი და 72 კაპიკი), და მიეცემათ ყოველთვიურად 10 მანეთი სწავლის მთელ პერიოდში, ხოლო ის კოლმეურნეობები, რომლებიც გარანტიებულ ანაზღაურებაზე არიან, მისცემენ შესაბამის ანაზღაურებას — თვეში 45-50 მანეთს.

სკოლაში ჩარიცხვა მოხდება ყველა საჭირო საბუთების წარმოდგენისა და გასაუბრების შემდეგ.





სკოლაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება; ავტობიოგრაფია; განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა; კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან გაერთიანების შუამდგომლობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; სამი ფოტოსურათი; პასპორტი ან მისი შემცვლელი საბუთი, სამხედრო ბილეთის წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე კვირადღის გარდა.

სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს.

სკოლის მისამართი: ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. № 84, ტელეფონი 2-27-02.

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ



ᲐᲠᲐᲪᲜᲝ-ᲑᲘᲔᲠᲘ

ᲘᲛᲘᲡᲯᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ პირველ რიცხვებში თბილისში გაიხსნება საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მონაწილეები განიხილავენ არაცნობიერის პრობლემას. ჩვენს დროში სამეცნიერო ფორუმები — კონგრესები, სიმპოზიუმები, კონფერენციები იშვიათობას არ წარმოადგენს, ჩვენს დედაქალაქს კი საკმაოზე ხშირად უხდება ასეთი შეხვედრების მასპინძლობა. არაცნობიერის პრობლემებზე საერთაშორისო სიმპოზიუმების მოწყობა მაინც განსაკუთრებულ მოვლენათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ პრობლემით მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში არიან დაინტერესებული ფილოსოფოსები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და ნეიროფიზიოლოგები, მედიკოსები და პედაგოგები, ესთეტიკოსები და ეთიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები და ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებისა და ლიტერატურის თითქმის ყოველი დარგის წარმომადგენლები.

არაცნობიერის უაღრესად რთულ და აქტიურ პრობლემაზე უმაღლესი დონის საერთაშორისო ფორუმის მოწვევას წინ უძღოდა მეტად დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია ვრცელი მოცულობის კოლექტიური მონოგრაფია. ეს ფუნდამენტური ნაშრომი გამოცემულია პროფესორების ა. ფრანგიშვილის, ა. შეროზიას, ფ. ბასილის რედაქციითა და მათივე თანაავტორობით. კოლექტიურ მონოგრაფიაში წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, კანადის, იტალიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების მრავალი ცნობილი მეცნიერის ნაშრომები.

არაცნობიერის პრობლემაზე სიმპოზიუმის ჩვენს დედაქალაქში მოწვევა იმითაც არის განსაკუთრებული მოვლენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელ მეცნიერებს ხვდება როგორც საამბოლო დიმიტრი უზნაძისა, რომლის მიერ ჩამოყალიბებული განწყობის თეორია გახდა ამ დიდი მეცნიერული დიალოგის მნიშვნელოვანი თეორიული ბაზა და საფუძველი.

კოლექტიური მონოგრაფიის „წინასიტყვაობაში" რედაქცია გვაუწყებს, რომ ნაშრომი წარმოადგენს ამოსავალ მასალას დისკუსიისათვის, რომელიც თბილისში გაიმართება. ამ დისკუსიის მასალებს საფუძველზე კი შედგება კიდევ ერთი, შემაჯამებელი ტომი.

გამოცემული სამი ტომით შექმნილია რეალური ნიადაგი იმისათვის, რომ წარიმართოს დიდად საინტერესო, მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის სასარგებლო აზრთა გაზიარება განსხვავებული პოზიციისა და მიმართულების მეცნიერთა შორის. უპირველეს ყოვლისა ეს იმით არის განპირობებული, რომ სამტომეულში შესულია ამ პრობლემებით დაინტერესებული ყველა მეცნიერული დისციპლინის წარმომადგენელთა ნაშრომები.

მოწვეული არიან და სიმპოზიუმში მონაწილეობისთვის თბილისში ჩამოდიან ცნობილი უცხოელი მეცნიერები: რ. იაკობსონი, კ. ბრობრამი, ს. არიეტი (ამერიკის შეერთებული შტატები), ლ. ალტუსერი, ჟ. ლაკანი, ლ. შერტოკი (საფრანგეთი), გ. ამონი, ვ. კრეჩმერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ბ. ბარნეტი (ინგლისი), ჩ. მუზატი (იტალია), ელენბერგერი, ე. ვიტკოვერი (კანადა), რ. ლეოდოკტერი (ავსტრია), ს. განოვსკი (ბულგარეთი), მ. კოფტა (პოლონეთი), ლ. გარაი (უნგრეთი), ა. ტომი (გდრ), მ. მორავეკი (ჩეხოსლოვაკია) და ბევრი სხვა.

საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს პ. ფედოსეევის მეთაურობით. საქმარისია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: ფ. ბასილი, ე. შმიდტი, ვ. ზინჩენკო, ბ. ლომოვი, ა. პლატონოვი, ა. სპირკინი, ტ. შოროხოვა, ნ. ბეხტერევა, მ. კობასნეკი, ვ. ჩირნიგოვსი... გთვალისწინებულია აგრეთვე ქართველ მეცნიერთა გამოსვლები.

ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲐᲠᲐᲪᲜᲝ-ᲑᲘᲔᲠᲘ

ᲘᲛᲘᲡᲯᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ნოთ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ პრობლემით მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში არიან დაინტერესებული ფილოსოფოსები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და ნეიროფიზიოლოგები, მედიკოსები და პედაგოგები, ესთეტიკოსები და ეთიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები და ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებისა და ლიტერატურის თითქმის ყოველი დარგის წარმომადგენლები.

არაცნობიერის უაღრესად რთულ და აქტიურ პრობლემაზე უმაღლესი დონის საერთაშორისო ფორუმის მოწვევას წინ უძღოდა მეტად დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია ვრცელი მოცულობის კოლექტიური მონოგრაფია. ეს ფუნდამენტური ნაშრომი გამოცემულია პროფესორების ა. ფრანგიშვილის, ა. შეროზიას, ფ. ბასილის რედაქციითა და მათივე თანაავტორობით. კოლექტიურ მონოგრაფიაში წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, კანადის, იტალიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების მრავალი ცნობილი მეცნიერის ნაშრომები.

არაცნობიერის პრობლემაზე სიმპოზიუმის ჩვენს დედაქალაქში მოწვევა იმითაც არის განსაკუთრებული მოვლენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელ მეცნიერებს ხვდება როგორც საამბოლო დიმიტრი უზნაძისა, რომლის მიერ ჩამოყალიბებული განწყობის თეორია გახდა ამ დიდი მეცნიერული დიალოგის მნიშვნელოვანი თეორიული ბაზა და საფუძველი.

კოლექტიური მონოგრაფიის „წინასიტყვაობაში" რედაქცია გვაუწყებს, რომ ნაშრომი წარმოადგენს ამოსავალ მასალას დისკუსიისათვის, რომელიც თბილისში გაიმართება. ამ დისკუსიის მასალებს საფუძველზე კი შედგება კიდევ ერთი, შემაჯამებელი ტომი.

გამოცემული სამი ტომით შექმნილია რეალური ნიადაგი იმისათვის, რომ წარიმართოს დიდად საინტერესო, მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის სასარგებლო აზრთა გაზიარება განსხვავებული პოზიციისა და მიმართულების მეცნიერთა შორის. უპირველეს ყოვლისა ეს იმით არის განპირობებული, რომ სამტომეულში შესულია ამ პრობლემებით დაინტერესებული ყველა მეცნიერული დისციპლინის წარმომადგენელთა ნაშრომები.

მოწვეული არიან და სიმპოზიუმში მონაწილეობისთვის თბილისში ჩამოდიან ცნობილი უცხოელი მეცნიერები: რ. იაკობსონი, კ. ბრობრამი, ს. არიეტი (ამერიკის შეერთებული შტატები), ლ. ალტუსერი, ჟ. ლაკანი, ლ. შერტოკი (საფრანგეთი), გ. ამონი, ვ. კრეჩმერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ბ. ბარნეტი (ინგლისი), ჩ. მუზატი (იტალია), ელენბერგერი, ე. ვიტკოვერი (კანადა), რ. ლეოდოკტერი (ავსტრია), ს. განოვსკი (ბულგარეთი), მ. კოფტა (პოლონეთი), ლ. გარაი (უნგრეთი), ა. ტომი (გდრ), მ. მორავეკი (ჩეხოსლოვაკია) და ბევრი სხვა.

საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს პ. ფედოსეევის მეთაურობით. საქმარისია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: ფ. ბასილი, ე. შმიდტი, ვ. ზინჩენკო, ბ. ლომოვი, ა. პლატონოვი, ა. სპირკინი, ტ. შოროხოვა, ნ. ბეხტერევა, მ. კობასნეკი, ვ. ჩირნიგოვსი... გთვალისწინებულია აგრეთვე ქართველ მეცნიერთა გამოსვლები.

Ვ. ᲥᲕᲐᲩᲐᲮᲘᲐ,
პროფესორი.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—79

ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲡ ᲮᲕᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ თეატრალური სეზონის დამდეგს დრამატურგმა აკაკი გეწაძემ რამდენიმე სასიბრაუნო ცნობა მიიღო სხვადასხვა თეატრიდან. მაგალითად, ქ. მაიაკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის ადიღეს საოპერო დრამის თეატრმა წარმოადგინა მისი ორმოქმედებიანი კომედია „გზა! ყარამანს ქალი მოპყავს!". სპექტაკლი დადგა ი. ნაგოიმ, მხატვარია ა. რეზნიკანი, კომპოზიტორი — გ. სიხარულიძე. პიესა ადიღეურად თარგმნა ჩ. პარანიუკამ. წარმოდგენაში მონაწილეობენ თეატრის წამყვანი მსახიობები.

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში კი დრამატურგის ორმოქმედებიანი კომედია „ფეხშიშველა სასძლო" აჩვენეს. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ს. ყიფშიძე, მხატვარი — ი. ხუროშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ნ. ძნელაძეს.

ა. გეწაძის ორმოქმედებიანი პიესა „ბერბიჭას აღსარება" მეხეთის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა. დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. დემეტრაშვილს, მხატვარია ავ. გოგოლაძე, კომპოზიტორი — გ. სიხარულიძე.

წლევანდელ სეზონში კიდევ რამდენიმე თეატრი უჩვენებს მაყურებელს ა. გეწაძის დრამატულ ნაწარმოებებს.

Ვ. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ.

ᲓᲠᲐᲒᲝᲛᲘᲠᲐ ᲑᲐᲠᲒᲐᲠᲐᲠᲗᲕᲐ:

ᲐᲠᲐᲡᲝᲚᲔᲡ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ...

რ. ლაღიძის ოპერა „ლელა" კოზიცეს თეატრში

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ კულტურის მოღვაწეებს ვესაუბრეთ სასტუმრო „ევეროპაში", სადაც დაბინავდნენ რეჟისორი დრაგომირა ბარგარეკა, მხატვარი-დეკორატორი ლადისლავ შესტინა, კოსტიუმების მხატვარი იარმარა ოპლეტალოვა. ქალაქ კოშიცეს თეატრში, რომელსაც ისინი წარმომადგენლობენ, იდგმება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ რ. ლაღიძის ოპერა „ლელა", და სლოვაკი კულტურის მოღვაწენი ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა დასწრებოდნენ თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლს, შეხვედროდნენ ოპერის ავტორს, მთავარი როლების შემსრულებლებს, დირიჟორს.

„ლელას" მუსიკამ აღგვაფრთოვანა, — თქვა სლოვაკიის სკენაზე ამ ოპერის დამდგმელმა რეჟისორმა დრაგომირა ბარგარეკამ. — მისმა თავისებურმა სილამაზემ, კომპოზიტორის ხატოვანმა ენამ, არაჩვეულებრივი სისრულითა და ძალმოსილებით წარმოგვიჩინა ნაწარმოების შინაარსი. ლაღიძე თავისი ხალხის ჭეშმარიტი მეზობელია. ჩვენ გვსურს, რომ ქართული ოპერა „ლელა", რომელსაც სლოვაკური თეატრში დავდგამთ, გახდეს დამაკავშირებელი ხიდი ჩვენს ხალხებს შორის, რათა ჩვენმა ხალხმაც ისევე შეიყვაროს საქართველო, მისი გამრჯე ადამიანები, მრავალსაუკუნოვანი კულტურა, როგორც შევიყვარეთ იგი ჩვენ, თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში რამდენიმე დღის ყოფნის მანძილზე. ოპერა „ლელათი" დაწყებული თანამშრომლობა მომავალშიც უნდა განვითარდეს და განმტკიცდეს, რათა არასოდეს შეწყდეს ჩვენი ერთობლივი სიმღერა. საქართველო, მისი ხალხი საოკეანოდ დარჩა ჩვენს გულში.

მაშ ასე, 16 ნოემბერს კოშიცეს თეატრში პრემიერაა. პრემიერაზე მიწვეული არიან რ. ლაღიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი, ზ. ანჯაფარიძე, ახალგაზრდა სოლისტი ჯ. მდივანი, დირიჟორი გ. აზმაიფარაშვილი. მეორე სპექტაკლში ქართველი მომღერლები შეასრულებენ მთავარ როლებს.

— სლოვაკიაში ნოემბერი საბჭოთა მუსიკის თვეა,—თქვა საუბრის დასასრულს დრაგომირა ბარგარეკამ. — საბჭოთა მუსიკის კონცერტების პროგრამაშია კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის, დირიჟორ ჯანსუღ კახიძის საავტორო გამოსვლები.

ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲒᲐᲙᲚᲓᲐ...

მ. ქვლივიძის პოეზიის საღამოზე

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ მუშაკთა სახლის დარბაზში უამრავ თაყვანისმცემელთა შორის ისეთებიც იყვნენ, პირველად რომ ხედებოდნენ პირისპირ მიხეილ ქვლივიძის — პოეტს. არადა, პოეზიას კი იცნობდნენ მისას.

...იგი თითქოს მოწყურებული იყო ამგვარ შეხვედრას, და როდესაც მსახიობმა თ. ხაინდრავამ საღამო გახსნა, ხოლო პროფესორმა ს. ხუციშვილმა მ. ქვლივიძის შემოქმედება გააცნო დარბაზს, პოეტმაც დაიწყო... დაიწყო სიბაბუაის წლებიდან, ქვეკრეულიდან, იქიდან, როდესაც სიმონ ჩიქოვანმა პოეზიის ძნელსავალი გზა დაულოცა დღეს უკვე ცნობილ შემოქმედს. შემდეგ ახალი ლექსებიც წაგვიკითხა შემართებით, ბრძოლიანობით და სილამაზით.

მეგობრებიც გამოვიდნენ: მწერლები ლ. ავალიანი და ი. ტურუა, პოეტები ნ. გაბრიჩიძე და ნ. გურგენიძე, თეატრმცოდნე ლ. ღლონტი და რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დირექტორი გ. იაკაშვილი.

ილაპარაკეს მ. ქვლივიძის პოეზიაზე, მის ღვაწლზე ქართული თეატრის წინაშე. მ. ქვლივიძემ ხომ შესანიშნავად თარგმნა რამდენიმე პიესა რუსი და საზღვარგარეთელი ავტორებისა, წლების მანძილზე რომ იდგმებოდა ქართულ სცენაზე (ვ. კოროსტილევის „ასი წლის შემდეგ" და „ფიროსმანი", როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი" და სხვ.).

სად არ მოგვატარა იმ საღამოს პოეტმა, მაინც დედასაქართველო იყო საყრდენი და საფუძველი თითქმის ყოველი ლექსისა, ასე რომ მომართა: „მშენებელი თუ დაგაკლდა, მე ვიქნები მშენებელი". ერთი მისხალი სიყალბეც არ ერია ამ თქმაში!

Ვ. ᲛᲐᲠᲯᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲠᲘᲒᲘᲡᲐ...

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ დედაქალაქ რიგაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ასპარეზობა. მეოთხმეტე ტურში გათამაშების უცვლელმა ლიდერმა ტალმა დაამარცხა ტროისი, ლარსენმა — ბუაზიზი, ცეშკოვსკიმ — მედინისი. ყაიმით დამთავრდა რიმსდეიკ-პოლუგაევსკისა და ადორიან-ტარიანის შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ტალს 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან პოლუგაევსკი — 10, რიბლი — 9 (1 გადადებული პარტია), ლარსენი — 8,5, გეორგიუ 8 (2), რომანიშინი და მაილისი — 7,5-7,5 (1).

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝᲡᲘ...

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა და ადრეული ქალთა მსოფლიო პირველობების საზონათაშორისო ტურნირები.

ვაჟთა ასპარეზობაში ორი ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულით ლიდერობენ ტიგრან პეტროსიანი, იური ბალაშოვი (ორივე — სსრ კავშირი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ) და ეუგენიო ტორე (ფილიპინები). პირველ ტურში პეტროსიანმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა იან სმეიკალთან (ჩეხოსლოვაკია), მეორეში მოუგო დიუსა საქმს (უნგრეთი). ბალაშოვმა დაამარცხა საქსი, ხოლო რაფაელ ვაჰანიანს (სსრ კავშირი) დაუზავდა. ვაჰანიანმა პირველი ტურის შეხვედრა ხორამ ხარანდასთან (ირანი) გადასდო. პორტიში (უნგრეთი) მოულოდნელად დამარცხდა ტორესთან.

ქალთა შეჯიბრების პირველ ტურში ნანა ალექსანდრიას მოუგო ვალენტინა კოზლოვსკაიას, ხოლო ნანა ალექსანდრიას და ტატიანა ზატულოვსკაიას პარტია გადაიდო.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ მოსკოვში გაიმართა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს V პლენუმი, რომელშიც შეჯამა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში რკინიგზელ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული შედეგები და დასახა მოსკოვის ოლიმპიადისათვის ამ საზოგადოების წარმომადგენელთა მზადების გზები. პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა ამერიკავკასიის საგზაო საბჭოს სპორტსმენთა მიღწევები. სსრ კავშირის რკინიგზელ სპორტსმენთა შორის ხალხთა VII სპარტაკიადაში ყველაზე უკეთ ამერიკავკასიელები გამოვიდნენ და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. რაც შეეხება კომპლექსურ ჩათვლას (ახალგაზრდული ასპარეზობები, მოსწავლეთა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები), აქ ამერკავკასიის საგზაო საბჭოს წარმომადგენლებმა IV ადგილი დაიკავეს.

„რკინიგზელ სპორტსმენთა პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხებიც. ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. ქობულაძე არჩეულ იქნა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲔᲓᲕᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის სპორტანის ბილიკზე 100 მეტრზე რბენაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ოდესელმა ვ. ბრანიკოვმა ყველას აჯობა. მან ეს მანძილი 10,1 წამში დაფარა. ასე სწრაფად თბილისში ჯერ არც ერთ სპრინტერს არ ურბენია. ეს შედეგი ვ. ბრანიკოვმა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს საკავშირო ასპარეზობაზე აჩვენა. ამავე დისტანციაზე მესამე იყო თბილისელი სპორტის ოსტატი ბ. მექვაბიშვილი — 10,3 წამში (საქართველოს რეკორდის გამეორება).

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, რომ ოლიმპიურ ასპარეზობებზე მოპოვებული ყველაზე დიდი წარმატება „ოქროთი" განიზომება. მოსკოვის ოლიმპიადაზე სხვადასხვაგვარი 1394 მედალი გათამაშდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს მედლების დამატებითი მარაგიც ექნებათ. და აი, რატომ: მაგალითად, სპორტულ ტანვარჯიშში ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებაში თეორიულად შესაძლებელია, რომ უცაბედ ექვსმა სპორტსმენმა (ფინალის ყველა მონაწილემ) თანაბარი ქულები მოაგროვოს და, ცხადია, ექვსივე ოქროს მედლით დაჯილდოვდება.

მოსკოვსა და ტალინში გამარჯვებული ოლიმპიელები მიიღებენ მოსკოველი მოქანდაკის ი. პოსტოლის ესკიზით დამზადებულ მედლებს. დაცული მედლების ტრადიციული ზომები და შემადგენლობა. მედლის სისქე 3 მილიმეტრია, დიამეტრი — 60 მილიმეტრი. ჩემპიონის ჯილდო ვერცხლისგან ჩამოისხმება და 6 გრამი ძვირფასი ლითონით მოოქროვდება.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

26 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ეროვნია" — საინფორმაციო პროგრამა (ბ.), 16.45 — „ბიბლიოთეკა" — მათემატიკა, 17.15 — განცხადებები, 17.20 — შვეიცარიელთა გერმანული ენა, 17.50 — „ჯადოსნური სალვანი" (ფ.), 18.30 — „საერთაშორისო დღიური" (ფ.), 19.00 — „პოეზია" — გ. გეგეჭკორი (ფ.), 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (ბ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — კინოს მოყვარულთათვის, 22.00 — „ეროვნია" — საინფორმაციო პროგრამა (ბ.), 22.35 — „არ შეურაცხყოთ ახალი ჩვენი", 23.00 — სსრ კავშირის პირველობა ხელბურთში: თბილისის „ბურევესტნიკი" — „ტაშკენტის „ტაშკენტეცი". II ტაიმი.

მეორე პროგრამით: 17.40 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 18.25 — განცხადებები (ფ.), 18.30 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია (ფ.), 19.15 — საგანლეკციო დოკუმენტური ფილმი „სიკეთის ნიჭი".

ᲞᲣᲚᲘᲢᲘᲙᲘ

26 სექტემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ფიწელი** (მე-13 აბონ. V წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **შუშანიკის მარტვილობა;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია;** მეგობის თეატრი — თეატრალური კარავი (კომუნარების ქვეშა ბაღში) — **მწუხარე სახის რაინდი;** ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **გიშოშენკოსა და ბერიოზინის კონცერტები** (უკრაინის სსრ სახალხო არტისტები).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ:

380096 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠ